



**ATIPfund**  
GEORGIA

საქართველო, თბილისი 0177

თამარაშვილის ქ. № 15ა

ტელ/ფაქსი: (+995 32) 2 395 350

15a Tamarashvili str.

Tbilisi 0177, Georgia

Tel./Fax: (+995 32) 2 395 350

www.atipfund.gov.ge

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი

State Fund for Protection and Assistance of (Statutory) Victims of Human Trafficking



KA030845685216016

№ 07-19/ო

01 / თებერვალი / 2016 წ.

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

“საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის სტრუქტურული ერთეულების - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების (თავშესაფარი) ბენეფიციართა პირადი საქმეების წარმოებისათვის საჭირო ფორმების დამტკიცების შესახებ”  
“საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დირექტორის 2015 წლის 10 აგვისტოს N07-132/ო ბრძანებაში დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის #146 დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1.“საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის სტრუქტურული ერთეულების - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების (თავშესაფარი) ბენეფიციართა პირადი საქმეების წარმოებისათვის საჭირო ფორმების დამტკიცების შესახებ” “საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დირექტორის 2015 წლის 10 აგვისტოს N07-132/ო ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებები:

- ა) ბრძანების პირველ პუნქტს დაემატოს „მ“, „ნ“ და „ო“ ქვეპუნქტები:
  - „მ) თავშესაფრის მომსახურებების შეფასების ფორმა (დანართი #10);
  - ბ) Assessment form of shelter services (დანართი #10<sup>1</sup>);
  - გ) Форма оценки услуг, оказываемых приютом (დანართი #10<sup>2</sup>).“;
- ბ) ბრძანებას დაემატოს თავშესაფრის მომსახურებების შეფასების ფორმა (დანართი #10), Assessment form of

shelter services (დანართი #10<sup>1</sup>) და Форма оценки услуг, оказываемых приютом (დანართი #10<sup>2</sup>) თანდართული რედაქციით.

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დირექტორი

თამილა ბარკალაია

